გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ქვემის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893



საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

## „ჯ ე ჯ ი ლ ი“

(მეოთხე წელიწადი)

გამოვა 1893 წელსაც, ორ თთვეში ერთხელ, იმავე პროგრამმით, როგორც აქამდე.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ეღირება 3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ხელის მოწერა შეიძლება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში Дворцовая ул. д. зем. банка № 125.), ქართულ სახალხო ბიბლიოთეკაში. ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში და თვით „ჯეჯილის რედაქციაში (Красногорская ул. д. Назарова № 7.)

2) ქუთაისში—ან. ბაქრაძისას.

3) გორში—ეკ. ფურცელაძისას.

4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის გაზეთის სააგენტოში.

5) საჩხერეში—ყარამან ჩხეიძესთან.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго Дѣтскаго Журнала „Джеджили.“

რედაქტორი-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

23 იანვარს ქალაქ ბაქოს სობრანიაში, სასარგებლოდ ბაქოსა, შავ-ქალაქსა და ბალახანში ხოლერით გარდაცვალებულთა ობლებისა და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გაიმართება

## ქართული საღამო

შემდეგის პროგრამმით:

განყოფილება 1

1) მოქმედება ანტონოვის კომედიიდგან

## მზის დაბნელება

2) მოქმედება ა. ცაგარლის კომედიიდგან

## ბაიყუში

განყოფილება II

ცხოველი სურათები

და

## ლ ე კ უ რ ი

დასაწყისი 8 საათზე

საღამოს გამგენი: ე. ზ. სტალინსკაია, მ. ლ. კონსტენსკაია, ა. მ. ანტონოვისა.

კვირას, 31 იანვარს, დილის 11 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია მორიგი კრება

„სახლების აშენების ამხანაგობისა“

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) ანგარიში „ამხანაგობის“ მოქმედებისა წარსულ წელს, 2) არჩევანები გამგეობის წევრთა და 3) ახალ ამხანაგების არჩევანები.

კრებას შეუძლიანთ დაესწრონ წევრნი და აგრეთვე ისინი, ვინც განაცხადებენ სურვილს წევრობისას და წარმოადგენენ საწევრო ფულს არა ნაკლებ ერთის თუმნისა.

(5—3)


## წერა-კითხვის საზოგადოების წლიურ ანგარიშის გამო.

ჩვენ მივიღეთ დაბეჭდილი ანგარიში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მოქმედებისა 1 სექტემბრიდამ 1891 წლისა 1 სექტემბრამდე 1892 წლისა. ამ სამი-ოთხის წლის წინად საზოგადოება აწარმოებდა წლიურს ანგარიშს მაისიდამ მაისამდე და ეს სამი წელიწადია ეს წესი შეიცვალა; შეიცვალა უფრო იმიტომ, რომ მაისის გასულს ძნელი იყო ხოლმე მოწოდება წევრთა წლიურ კრებად; ამის გამო საზოგადო კრებამ გადასწყვიტა შემოდგომაზად დაინიშნოს ხოლმე წლიური კრება საზოგადოების წევრთაო. ზემოხსენებულის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება ამ ხანად დაგვიანდა და მხოლოდ ამ იანვრის 24 დაინიშნა.

როგორც ანგარიშიდამ სჩანს, საზოგადოებას ჰყავს ამ ჟამად 490 წევრი, 4 საპატიო, 110 დამფუძნებელი და 376 ნამდვილი. ამ წევრთაგან სულ შემოსულა წლის განმავლობაში საწევრო ფული 706 მან. საზოგადოებას წლის განმავლობაში უწარმოვებია თავის საკუთარის ხელმძღვანელობით შემდეგი სკოლები: კავკავისა, ბათუმისა, ხელთუბნისა, წინარეხისა, თონეთისა და ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლა ძველის სენაკის სათავად - აზნაურო სკოლითურთ. ამ სკოლებში მეტი ამაგი გაუწევია საზოგადოების გამგეობას უფრო პირველ ხუთ სკოლაზე, რომელთათვისაც ნივთიერი შემწეობაც აღმოუჩენია; აი რა სკოლისთვის რა დახმარება აღმოუჩენია საზოგადოებას:

1) ქალთა კომიტეტს, რომელიც აგროვებს ფულს დედათა ქართულის სკოლის დასაარსებლად, გამგეობამ მისცა ნაწილი ტფილისში გამართულის ლატარეია-ალეგრის შემოსავლისა—459 მ., 2) გაუგზავნა გურია-სამეგრელოს საეპარქიო რჩევას სამრევლო სკოლებში დასარიგებლად 200 ცალი „დედა-ენა“, ღირებული 66 მ. 3) შესწირა ქუთაისის საკვირაო სკოლას 12 მ. და 84 კ. წიგნები, 4) ტფილისის მეორე საკვირაო სკოლას 10 მ. და 50 კ. წიგნები, 5) ვარშავის ქართველს სტუდენტებს—8 მ, და 20 კ. წიგნები, 6) ძველ-სენაკის ბიბლიოთეკას 46 მ. და 10 კ. წიგნები და 7) გადაიხადა განსვენებულის მოსე ნათაძის ვაჟის შესანახად ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის პანსიონში—100 მ., სულ 702 მ. 64 კ.

გამგეობას უზრუნია, რომ სკოლების რიცხვი გამრავლებულიყო საანგარიშო წელს რამდენისამე ახალის დაარსებით, მაგრამ აი რას ამბობს ანგარიში ამ საგნის შესახებ:

ახალის სკოლების გამართვაში გამგეობას აბრკოლებს შესახებ იმისა დამოუკიდებელი მიზეზი. საანგარიშო წელს გამგეობას უნდოდა გაემართა სკოლა დიღომში. ამ სკოლისთვის საჭირო საშუალებას აძლევს საზოგადოებას პატივცემული დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი. გამგეობამ ამ სკოლის გამართვის ნება-რთვა სთხოვა მთავრობას 1891 წლის 12 ღვინობისთვეს და იმედიც ჰქონდა, რომ 1892 წლის იანვარში გაჰხსნიდა სკოლას დიღომში. მაგრამ სკოლათა მთავრობამ ძალიან გააძნელა ნება-რთვის მოცემა და იმდენი სხვა-და-სხვა მოთხოვნილება წამოუყენა გამგეობას, რომ საანგარიშო წლის ბოლოს გამგეობას არ ჰქონდა კიდევ მიღებული გადაწყვეტილი პასუხი.

საზოგადოებას სამაგიეროდ მიუქცევია მეტი ყურადღება წიგნების ბეჭდვისათვის. ამ აზრით მან დააწესა პრემიები კარგის სახალხო საკითხავად გამოსადეგ წიგნებისათვის, მაგრამ სამწუხაროდ მხოლოდ რამდენიმე ხელნაწერი მისვლია და მათ განხილვის შემდეგ მხოლოდ ერთი წიგნაკი აღმოჩენილა ღირსად პრემიისა, სახელდობრ „რუხი მგელი“ გ. წერეთლისა.

წიგნების ბეჭდვის შესახებ ანგარიში ამბობს:

საანგარიშო წელს გამგეობამ გამოსცა შემდეგი წიგნები: 1) კრილოვის არაკები, თარგმნილნი აკაკი წერეთლის მიერ; 2) შექსპირის დრამები: ოტელო, ჰამლეტი და მეფე ლირი, გადმოკეთებულნი ს. ყიფიანის მიერ; 3) მალვას თავ-გადასავალი—ცახელისა; 4) ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, შედგ. ი. გოგებაშვილის მიერ; 5) რუხი მგელი—გ. წერეთლის მოთხრობა; 6) დედა-ენა—ი. გოგებაშვილისა და 7) ბუნების კარი—მისივე. კრილოვის არაკები გამგეობამ ორის წლის წინად შეიძინა მთარგმნელისაგან 300

# ფელეტონი

## ქართველთა შორის

ჩვენი გულუბრყვილო რუსეთუმე.—დროება გამოიცვალა. — ახირებული ხმოსანი ქუთაისის საბჭოსი.

რუსეთის პოეტებ შორის განცალკევებულადა სდგას დიდებული სურათი ორის სახელოვანის კაცისა—პუშკინისა და ლერმონტოვისა. ბევრი ხანი გაივლის, ვიდრე მათი თანაბარი გამოჩნდეს რუსეთის ლიტერატურის ჰორიზონტზე. განსაკუთრებული პატივი და სიყვარული დაიმსახურეს ამ დიდებულმა პოეტებმა კავკასიელ ხალხშიაც და ნამეტნავად ქართველებში, იმიტომ რომ იგინი თავიანთის ძლიერის სიტყვით აყვარებდნენ რუსეთის საზოგადოებას ჩვენს ქვეყანას და მის მცხოვრებთა ხასიათსა და ჩვეულებას. პუშკინი და ლერმონტოვი დღეს ყოველ შეგნებულ რუსის თვალში სახელი და დიდებაა მთელის რუსეთისა. ვინც იქამომდე განუვითარებულია, რომ ეს ღირსება მათი არ ესმის, იმასთან არც ერთი განათლებული რუსი არ იკადრებს საქვეყნო საქმეებზე ხმის ამოღებას. რამდენიც დრო გადის, იმდენი იზრდება სახელი ამ ორის პოეტისა. შედეგი ასეთის პატივისცემისა უნდა ყოფილიყო ისა, რომ თანდათან უფრო და უფრო ძვალსა და რბილში გასჯდომოდათ მათს თაყვანისმცემლებს მათი მოძღვრება, გადასდებოდათ მათი აზრი და გრძნობა. ამას მოითხოვს თვით ულმობელი ლოღიკა საქმის ვითარებისა, თვით ის სიყვარული, რომელიც დღითი დღე მატულობს პუშკინისა და ლერმონტოვის მიმართ მთელს რუსეთის იმპერიაში. სიტყვით ადიდებდე, ცამდის აგყავდეს სახელი ამ დიდებულ პოეტებისა და საქმით-კი მუშტს უღერებდე ყოველს კავკასიელს, ეგ ვერაფერი პატივის ცემაა მათ მიმართ. მომხრეობა კარგის საქმისა და აზრისა, პატივის ცემა გამოჩენილის კაცისა უნდა დამტკიცდეს საქმით, მოქმედებით, თორემ როდესაც მარტო ენა ლაქლაქებს და გული-კი სრულებით წინააღმდეგა ჰფეთქავს, მაშინ მომხრეობაც და პატივის ცემაც მხოლოდ ფარისევლობის მომასწავებელნი არიან. ბევრი ნაწილი პუშკინისა და ლერმონტოვის თანამედროვეთა, რომელნიც ჰმოქმედობდნენ კავკასიაში, ცდილობდა, რომ სიყვარულითა და თანაგრძნობით მოეგო ჩვენი გული, დაგვმეგობრებოდა, დაგვახლოვებოდა და დაგვნათესავებოდა გულითაც და საქმითაც. ასეთმა მოპყრობამ ქართველი ხალხი, როგორც ერთობ გულისა და გრძნობის ხალხი, იქამდე მიგვიყვანა, რომ ჩვენ, ნიშნად მადლობისა, მზანი შევიქმენით ხელი აგვეღო თვით ქართველობაზედაც-კი. სწორედ მაშინ დაიბადა საკვირველი ტიპი რუსეთუმესი, რომელსაც ყოველივე ქართული მიაჩნდა უცხოდ, უცნობად, უხამსოდ და რომლისთვისაც ყოველივე რუსული შეიქმნა თავი და ბოლო ადამიანის არსებობისა. ეხლაც შეგხვდებათ თითო-ოროლა მოღვაწე რუსი მაშინდელის დროისა. იგინი დღეს მჩვარში არიან გამოხვეულნი, მაგრამ როდესაც ჰხედავთ მათს განუსაზღვრელს სიყვარულს კავკასიის მიმართ, აღარ გიკვირთ, რომ ჩვენში სამაგიეროდ შესაძლო ყოფილიყო რუსეთუმეობა.

**

რამდენად გამოიცვალა დროება პუშკინსა და ლერმანტოვს შემდეგ, საკმარისია გადაათვალიეროთ შავი-ზღვის ოლქის უფროსის ბ-ნ სოკოლოვის წერილი, რომელიც ამ დღეებში დაჰბეჭდა გაზეთმა „Кавказъ“-მა. ბ-ნი სოკოლოვი ამ წერილით სცდილობს გაჰფანტოს ეჭვი, რომელიც მის შესახებ მოჰფინა ბ-ნმა მოლჩანოვმა მთელს რუსეთს, ვითომც იგი, ბ-ნი სოკოლოვი, უფროსი შავი-ზღვის ოლქისა, ნამდვილი რუსი არ იყოს და ვითომც იგი ჩამომავლობით ჩერქეზი ყოფილიყოს, თუმცა თვალის ასახვევად რუსული გვარი დაერქმიოს. რა-კი ნამდვილი რუსი არ არის ბ-ნი სოკოლოვი, რა-კი ძარღვებში ჩერქეზის სისხლი უტრიალებს და სულიც ჩერქეზისა მოსდგამს, აბა რასაკვირველია—ამბობს ბ-ნი მოლჩანოვი—იგი რუსების გულ-შემატკივარი ვერ იქნება, და ამიტომაც მოჰხდა, რომ მე, განთქმულს მოლჩანოვს, ნამდვილ მართლ-მადიდებელ რუსს, არ დამითმო რაღაც ოცი დღიური მიწა შავის-ზღვის პირასაო.

ჰო-და, დღეს იმდენად გამოიცვალა დროება, რომ პატივცემული უფროსიც-კი შავი-ზღვის ოლქისა იძულებული შექმნილა თავი იმართლოს წინაშე ქვეყნისა და გამოაცხადოს, რომ ეს ეჭვი სრულებით უსაფუძვლოა, რომ იგი რუსია სულითაც, გულითაც, სისხლითაც, ჩამომავლობითაც და ამის გამო ვერც ერთი მოლჩანოვი ვერ მოახერხებს დაუმტკიცოს მას ჩერქეზული ჩამომავლობა, რაიცა საშინელს ცოდვად გარდაქმნილა მოლჩანოვისთანა მწერლების შეხედულობით. ბ-ნ სოკოლოვს მოჰყავს ცნობანი შესახებ თავის მამისა და პაპისაც-კი. ეს ცნობანი შეეხებიან უკანასკნელს 115 წელს, და ნათლად სჩანს, რომ ამ ხნის განმავლობაში მისი გვარი სულ მართლ-მადიდებელი ხალხი ყოფილა, რუსეთის აზნაურშვილობის წოდებისა და დიდი ღვაწლიც უდევს მის მამა-პაპას თვით კავკასიის ომებში წინააღმდეგ კავკასიის მკვიდრთა. სამწუხაროდ, ბ-ნს სოკოლოვს არ მოჰყავს ცნობანი, მეჩვიდმეტე ან მეთექვსმეტე საუკუნეშიაც ნამდვილი რუსები იყვნენ მისნი წინაპარნი, თუ სხვა რამ მოდგმის სისხლი შეერია მის ჩამომავლობას იმავ თავით. ეს დიდი შეცდომაა, რომელსაც, უეჭველია, თავისებურად გამოიყენებს მოხერხებული მოლჩანოვი, თუმცა ბ-ნს სოკოლოვს სამართლიანად უკვირს, რა ადგილი უნდა ჰქონდეს ჩამომავლობის ცოდვას სახელმწიფო საქმეთა მართვა-გამგეობაში, თუ კი ეს მართვა-გამგეობა აშენებულია კანონიერ მოქმედებაზედ!..

მანეთად და უნდოდა მათი გამოცემა ნახატებით, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა და წელს უნახატებოდ დაჰბეჭდა 1,200 ცალი. დაბეჭდვაზე დაიხარჯა 108 მ. ცალი ღირს 30 კ. მეორე წიგნი—შექსპირის დრამები: ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი—დაიბეჭდა ბ-ნის ს. ყიფიანის ხარჯით იმ პირობით, რომ ამ წიგნის შემოსავლის ნახევარი მას მიეცეს. ცალი ღირს 20 კ. მესამე წიგნი—შალვას თავ-გადასავალი დაიბეჭდა 1,200 ცალი და ავტორის ჰონორარით დაჯდა 100 მ., ცალი ღირს 15 კ. ხომლი დაიბეჭდა 1,277 ცალი და ცალი დაჯდა ავტორის ჰონორარით 18 კ. სულ 229 მ, 86 კ. ცალი ღირს 30 კაპ. დედა-ენა და ბუნების კარი დაიბეჭდა იმავე გვარად, როგორც წინად. დედა-ენა—მეცხრე გამოცემად 18,000 ცალი და მიეცა ავტორს ცალში დასაბეჭდი ჰონორარით 20 კ. ანუ სულ 3,600 მ. ცალი ღირს 30 კ. ბუნების კარი—მეშვიდე გამოცემად 4,000 ცალი და მიეცა შემდგენელს ცალში დასაბეჭდი ჰონორარით 50 კ. ანუ სულ 2,000 მ. ცალი ღირს ყდით 90 კ. (უყდოდ არ იყიდება). რუხა მგელი დაიბეჭდა 1,200 ცალი და ავტორის პრემიით დაჯდა 105 მ. 02 კ. ცალი ღირს 15 კ.

ამას გარდა გამგეობამ იკისრა განსვენებულის მიხეილ ყიფიანის გეომეტრიის მეორე ნაწილის გამოცემის ხარჯი—129 მ. (1,179 ცალისა.) ცალი ღირს 50 კ.

სხვა ახალ საქმეთა შორის, რომელიც დაუწყვია საზოგადოებას, საყურადღებოა დაარსება ტფილისში სახალხო ბიბლიოთეკისა, რომელიც მოთავსებულია არწრუნისეულს ქარვასლაში და რომელსაც განაგებს წევრი გამგეობისა ქ-ნი ან. წერეთლისა.

საზოგადოების ძველ ხელ-ნაწერს ბიბლიოთეკას დიდად გაუმატნია. იმ წიგნებსაც ბევრი მიჰმატებია, რომელთა შინაარსიც ასე თუ ისე შეეხება კავკასიასა და საქართველოს. ეს გამატება და გამდიდრება ბიბლიოთეკისა აიხსნება მით, რომ საანგარიშო წელს შეუწირავთ საზოგადოებისათვის თავისი ბიბლიოთეკები განსვენებულ პროფესორის დ ი. ჩუბინაშვილის მემკვიდრეს და თ. რ. დ. ერისთავს. სულ ქართულ წიგნების რიცხვი ამ ბიბლიოთეკაში არის 2601 ნომერი, რუსულსა და უცხო ენაზე 806. ამას გარდა საზოგადოებას აქვს, უვლის და ინახავს სანუმიზმატო და საარქეოლოგიო კოლექციებს.

შემოსავალი ჰქონია საზოგადოებას წლის განმავლობაში:

წევრთაგან 706 მან. ტფილისში გამართულის კონცერტიდგან—691 მ. 90 კ. ტფილისშივე გამართული ლატარეია-ალეგრიდგან—2,500 მ. 63 კ. ბათუმში გამართულის ლატარეია-ალეგრიდგან—735 მ. 83 კ. ბათუმშივე იქაურის სკოლის მზრუნველობის თაოსნობით გამართულის კონცერტისა და წარმოდგენისაგან—193 მ. 60 კ.

ამას გარდა გამგეობას ხელი შეუწყვეს თავიანთ შემოწირულობით კერძო პირთაც: იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა შესწირა 20 მ., გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა—ხუთი მანეთი (5 მ.), ბაქოში მცხოვრებმა ქართველებმა მოაგროვეს 100 მანეთი და გამოუგზავნეს, სუხუმის მცხოვრებლებმა საზოგადოების სასარგებლოდ გამართეს წარმოდგენა და მისი შემოსავალი 100 მ. და 5 კ. გამოუგზავნეს.

საზოგადოების ერთი თვალ-საჩინო წყაროთაგანი არის წიგნების ვაჭრობა. საანგარიშო წელს საკუთარის წიგნების გაყიდვიდგან დარჩა წმინდა მოგება 812 მ. 16 კ., საკომისიოდ აღებულის წიგნების გაყიდვიდგან—358 მ. 52 კ. სულ 1170 მ. 68 კ.

საანგარიშო წელს «ივერიის» რედაქციამ გადასცა საზოგადოებას შესანახად და შესაფერად მოსახმარებლად ის თანხა, რომელიც რედაქციაში გროვდებოდა ჩვენის მწერლების სახელობაზე საგანგებო ფონდის დასაარსებლად—სულ 3145 მ. 06 კ. აქედგან ბაქრაძის ფონდია—2227 მ. 92 კ., ბარათაშვილისა—432 მ. 24 კ., ყაზბეგისა—372 მ. 75 კ., დავითაშვილისა—187 მ. 10 კ., გურიელისა—25 მ. გამგეობამ ეს ფული მიიღო და შესანახად შეიტანა საკომერციო ბანკში. შემდეგშიაც გამგეობა მიიღებს ამნაირს შემოწირულობას და შეინახავს ხელუხლებლად.

# ახალი ამბავი

*** მოგეხსენებათ, რომ ტფილისში შესდგა კომისისია, რომელსაც მინდობილი აქვს, განიხილოს ყოფა-ცხოვრება ამიერ-კავკასიის სახელმწიფო გლეხთა და უკეთ მოაწყოს საქმე მათ მიერ მამულების ჭერისა და სარგებლობისა. სამწუხაროდ, კომისიას არ ექვემდებარება მხოლოდ, ასევე მოაწყოს საქმე დროებით ვალდებულ გლეხთაცა, რომელთაც ბევრად ნაკლებადა აქვთ მამული, ვიდრე სახაზინოთა. მით უმეტეს სამწუხაროა ეს გარემოება, რომ ამავე კომისიას მიანდო სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ განიხილოს და განაკარგოს ყოფა-ცხოვრება იმ დროებით ვალდებულ გლეხთა, რომელნის სცხოვრობენ კერძო მიწად-მფლობელთა მამულებზე განჯისა, ერევნისა და ბაქოს გუბერნიაში და ტფილისის ერთს ნაწილში, ესე იგი, იმ ადგილებში, რომელიც წინად მუსულმანებისა იყო. ბ-ნმა ტფილისის გუბერნატორმა ამაზედ ქაღალდი გაჰგზავნა, საცა ჯერ იყო, და ითხოვა, სახაზინო გლეხებთან ერთად, სასურველია, კომისიამ იზრუნოს ქართლ-კახეთისა და ჯავახეთ-ახალციხის დროებით ვალდებულ გლეხთათვისაცაო, მაგრამ ეს თხოვნა არ იქმნა შესრულებული. სასიამოვნოა მხოლოდ, რომ მთავრობას საჭიროდ უცვნია, როგორც გაზეთი „Бирж. Вѣд.“-ი ამბობს, ზემოხსენებულმა კომისიამ განიხილოს საქმე იმ გლეხთა მოწყობისა მამულების მიცემის მხრივ, რომელნიც სცხოვრობენ ყარსის გუბერნიაში და ბათუმის მხარეს. ამ გლეხთა შესახებ მთავრობას დაუვალებია კომისიისათვის, ისეთივე აზრი გაიმძღვაროს წინ თავის მუშაობის დროს, როგორსაც ადგა ოსმალეთის მთავრობა ამ ქვეყნებში. მიწები მიეცათ იქ გლეხთ არა საკუთრებად, არამედ მუდმივ სასარგებლოდ. რაკი ასე მოეწყობა საქმე ბათუმის ქვეყნების გლეხთა, უეჭველია, ესრედ-წოდებული სამხედრო-საერო მართვა-გამგეობა (Военно-народное управленіе) გაუქმდება იქ. და თუ დღემდე იქაური გლეხკაცობა, ამის გამო, მოკლებული იყო გარკვეულს კანონსა და წესს იმისას, თუ როგორ და რა გვარად უნდა ესარგებლნა მამულ-დედულითა და მიწა-წყლით, ან როგორ და რა გვარად უნდა წარემართნა თავისი სასოფლო საქმენი, შემდეგ ეს აღარ იქმნება და სრულიად გარკვეული წესი დამყარდება ყოველ ამისთანა საქმეთა შესახებ.

*** მკითხველებს უნდა ახსოვდეთ, რა დიდი იმედი გამოვთქვით ჩვენს გაზეთში იმ პურის მაღაზიების შესახებ, რომლებშიაც საზოგადო სასოფლო პური იზოგება და რომელსაც ისეთი დიდი ყურადღება მიაქცია ამ ბოლოს დროს ბ-ნმა ტფილისის გუბერნატორმა. ჩვენი იმედი არც გამტყუნდა და, როგორც მკითხველი ქვემოდ აღნიშნულ ცნობებიდგანაც დაინახავს, ჩვენი სოფელი, რომელსაც სულს აქედ არა მოეძებნებოდა-რა, ქონების პატრონი გახდა და ნელ-ნელა ზურგს იმაგრებს. მოგეხსენებათ, რომ სიმშილობის მოლოდინისათვის ამისთანა თავდარიგიანობა კრგია და მარტო ტფილისის მაზრას, ფულს გარდა ბანკებში, მხოლოდ პური აქვს ბეღლებში ეხლავე მზა-მზარეულად 32,729 ფუთი; ამას გარდა ამ ჟამად ტფილისის მაზრის 45 სოფელს მარტო 1892 წლის განმავლობაში დაუზოგავს დი შეუნახავს 35,956 ფუთი და 30 გირვანქა ჭირნახული. ამას გარდა, სამამასახლისოებს სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში შენახული აქვთ წინა წლებში დაზოგვილი 51,357 მან. 99 კაპ.

*** დღეს, 22 იანვარს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის განყოფილებაში დანიშნულია საქმე ვანქის ხიდის უბედურობის შესახებ, რომელიც 6 იანვარს მოხდა წარსულის წლისას. ამ საქმისათვის 22 კაცია დაბარებული. ბრალმდებელად დანიშნულია ამხანაგი სამოსამართლო პროკურორისა, ბ-ნი ხლადოვსკი. ბრალი ედებათ სურფსარქისის მღვდელს ტერ-კონსტანტინე არარატიანცს და დურგალს მნაცაკან მელიქიანს.

*** ჩვენს ფოტოგრაფს ბ-ნს ალ. რონიაშვილს განუზრახავს მრავლად დაამზადოს განსვენებულ ივ. ივ. კერესელიძის სურათები და მათის გასყიდვით შემოსული ფული გადასდოს განსვენებულის საფლავზე მატურის დასადგმელად.

*** შვეიცარიამ შეიმუშავა ამას წინად პროექტი, რომ სავაჭრო საქონელი გადიზიდებოდეს ერთის ქვეყნის რომლისამე სადგურიდამ სხვა ქვეყნის სასურველ სადგურამდე ყოვლად დაუბრკოლებლივ. ეს პროექტი შეწყნარებულ იქმნა ევროპაში თითქმის ყველა სახელმწიფოს მიერ და დაიწერა ხელ-შეკრულობა, რომლის ძალითაც ყველას შეუძლიან, ტფილისიდამ, ან გრაკლიდამ, მაგალითად, დაუბრკოლებლივ გაჰგზავნოს საქონელი თუნდ ლონდონსა და ლივერპულს, თუნდ ლიონსა და გავრს. გადატანის ფასს გზა აიღებს იმ წესით, რა წესიც არსებობს იმ ქვეყანაში, საცა საქონელი გაივლის. აღარც ყურის გდება, აღარც შუამავალი და ჩარჩ-კომისიონერები საზღვრებზედ. ეს ხელ-შეკრულობა სამის წლით არის დადებული და, თუ რომელიმე სახელმწიფომ არ მოინდომა გამოაკლოს თავისი თავი ამ წეს-რიგიდამ ერთის წლის წინად ვადის გასვლამდე, ხელ-შეკრულობას კვლავ შემდეგს სამ წელსაც ექნება ძალა და ასე ამ რიგად.

---

საკვირველ არიან დრონი, როდესაც მოლჩანოვისთანა მწერლებს ხმა და მნიშვნელობა აქვთ ქვეყნის ავკარგიანობაში!...

საქმე ასე ყოფილა თურმე. ბ-ნ მოლჩანოვს, რომელიც ერთსა და იმავე დროს ცხელ-ცხელ ამბებს ატყობინებს გაზეთს პარიჟიდგან, ტფილისიდგან, არხანგელსკიდგან, გული შეჰვარდნა ერთს ადგილზე შავი-ზღვის პირას და უთხოვნია ბ-ნ სოკოლოვისთვის—ეგ ადგილი მე დამითმეთ ოც თუმნადაო. უფროსს უარი განუცხადებია, რადგან ხსენებული ადგილი დაბა ტუაპსეს საკუთრება ყოფილა და ფასითაც ღირებულა თორმეტ-ცამეტჯერ მაინც მომეტებული, ვიდრე შეუძლევია ბ-ნ მოლჩანოვს. აქედგან დაიწყო ეს საქმე, რომლის ამოსაგებად სახელოვანმა კორესპოდენტმა აღარ დაზოგა არავითარი იარაღი და ბოლოს მიჰმართა უებარს საშუალებას: თუმცა შავი-ზღვის ოლქის უფროსს გვარი რუსული აქვს, მაგრამ იგი ნამდვილი რუსი არა ყოფილაო, იგი თურმე ჩერქეზებიდგან წარმოსდგებაო და ამიტომ მართლ-მადიდებელ რუსეთის ხალხს სრულებით არ უწყობს ხელს, რომ შავი-ზღვის ნაპირებზედ გაშენდნენო, როგორც, მაგალითად, ნამდვილს რუსს მოლჩანოვს არ დამითმო რაღაც ოცი დღიური მიწაო. მოდით და ამისთანა დროს ნუ გაიმართლებთ თავსა და ნუ აიხსნით საშინელს ბრალს ჩერქეზულის, ქართულის, სომხურის ჩამომავლობისას!..

**

ურიგო არ იქნებოდა, რომ მოლჩანოვისთანა მწერლების მიმართაც ყოფილიყო დაწესებული რაიმე გარდასახადი... არა, საჩუქარი, რომ თვალდახუჭულ ქვეყანასა სცოდნოდა—აი ეს ამბავი ჭორია და ეს მართალიო. შესაძლებელია, მაგალითად, რომ თითო ხერხიან ჭორში, რომელსაც შესთხზავს მოხერხებული კორესპონდენტი მოლჩანოვის გვარისა, მიეცეს თითო ქცევა მიწა თუნდ შავი-ზღვის პირად,—მაინც იქაურობა აოხრებულია, ხალხი გაკრეპილია იქიდგან და იმოდენა მიწა-წყალი უკაცოდ არის დატოვებული. თუ ჭორი მიმართულია რომელსამე სახელოვან კავკასიელ ადმინისტრატორის ან საზოგადო მოღვაწის მიმართ, შეიძლება თითო ამისთანა ჭორში თითო ლაზათიანი „დესეტინაც“ მიეცეს კორესპონდენტს და საქვეყნოდაც გამოცხადდეს, რომ ეს საჩუქარი ამა-და-ამ საქციელისთვის მიეცა ვაჟ-კაცსაო, რადგან იგი სცდილობს აჩვენოს თავი ყველას ნამდვილ რუსადაო.

საუბედუროდ, ჩვენს დროში ამისთანა მწერლებს მაღლა უჭირავთ თავი და აოა თუ სასჯელს ვერ მიუწყავთ, „ღვთის წყალობის“ თქმაშიაც ბაჟი გადაგხდებათ. ამიტომ საჩქაროდ დავანებოთ თავი ბ-ნ მოლჩანოვს და გადავიდეთ ახირებულ ხმოსან მიქიაშვილზედ, რომელმაც თავისის საქციელით მთელი ქუთაისი აალაპარაკა ამ ბოლოს დროს. ღმერთმა-კი მეტი შეძლება უწყალობოს ბ-ნ მიქიაშვილს, და ძალიან შესანიშნავი ხმოსანი-კი ყოფილა ქუთაისის საბჭოსი, ძალიან სამაგალითო, შეუდარებელი, უებრო..... მაშინ როდესაც ყოველი მომხრე სამოქალაქო თვით-მმართველობისა გულ-დათუთქული დარჩა იმ წესთა გამოცვლით, რომელთაც შეეჩვივნენ მოქალაქენი, ამ დროს ქუთაისში აღმოჩენილა ხმოსანი, რომელსაც ისე გაჰხარებია ფრთების შეკვეცა, რომ სიხარული ველარ დაუტევია გულში და თავის ამხანაგებისთვის უთქვამს საჯაროდ: დააჩქარეთ ახალის წესდების შემოღება, რომ ეგებ მალე მოგიშოროთ თავიდგან და სხვა ხმოსნები ავარჩიოთ საბჭოში. ეტყობა ძრიელ განვითარებული ხმოსანი უნდა ბრძანდებოდეს ბ-ნი მიქიაშვილი და კარგადაც უნდა ჰქონდეს შეგნებული ხაკლი ძველის თვით-მმართველობისა და ღირსება ახალის საქალაქო დებულებისა. ძველის ნაკლი იმიტომ უნდა იცოდეს ხმოსანმა მიქიაშვილმა, რომ, როგორც ჩვენი ქუთათური კორესპონდენტი იწერება, ბ-ნი მიქიაშვილი 1887 წელსაც ხმოსანი ყოფილა ქუთაისის საბჭოსი და, უეჭველია, ამაზედ ადრეც იქნებოდა. მისი ხმოსნად ყოფნა ადრინდელ დროიდგან იმითია შესანიშნავი, სხვათა შორის, რომ 1887 წ. საბჭოს დაუდგენია—ჩვენის შვიდის კრებიდგან მაინც დათხოვნილ იქმნას ხმოსანი მიქიაშვილი, რომ ეგებ ამ ხანში პატარა გული დავიწყნაროთ და შემდეგ ასე აღარ გვეჩოთირებოდეს მაგის გვერდით ჯდომაო და თვითონაც ეგებ ცოტათი იცვალოს კანიო. სასიხარულოდ ბ-ნ მიქიაშვილისა, ეს განაჩენი ვერ მოუყვანიათ სისრულეში. რადგან ახალი არჩევანები დაწყებულა და საბჭოში ახალი ხმოსნები შესულან, მაგრამ სიხარულთან ერთად ბ-ნს მიქიაშვილს დიდი შურის ძიება ჩაჰვარდნია გულში წინააღმდეგ ძველის თვით-მმართველობისა. ეხლა ეს ძველი წეს-წყობილება თავდება და როგორ არ უნდა გაჰხარებოდა ბ-ნს მიქიაშვილს და როგორ არ უნდა ამოეყარა მასზედ თავისი შურისძიება! ამოიყარა ჯავრი, ამოიყარა, უეჭველია, და ეგონა კიდეც ახლა-კი მოვისვენებო. მაგრამ, საუბედუროდ, ძველმა საბჭომ კვლავ გაიხსენა თავისი ადრინდელი განაჩენი, და ხმოსნებში ლაპარაკიც ჩამოვარდა—1887 წელში რომ არ დაგვითხოვნია შვიდის კრებიდგან ხმოსანი მიქიაშვილი, ეხლა აღვასრულოთ მაშინდელი განაჩენი და ზედ შევაკეცოთ კიდევ შვიდი სხვა კრებაცაო, რომ ამ სახით ბ-ნი მიქიაშვილი თორმეტის კრებიდგან იქმნას განდევნილიო. აბა, მოდით ამას იქით და, მიქიაშვილის ქერქში, ნუ აუჩქარებთ ძველის თვით-მმართველობის გაუქმებას! მაგრამ ვაი თუ ახალმა წესდებულებამ ისეთი კბილი უჩვენოს ბ-ნს მიქიაშვილს, რომ იგი თავის თავს ეუბნებოდეს: „ნუ, ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსაო“, ვაი თუ ახალმა წესმა თოთხმეტის მაგიერ ოცდათოთხმეტის კრებიდგან განდევნოს ეს ახირებული ხმოსანი.... ამასაც მალე ვნახავთ.

სანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*** შარშან გაზაფხულს, როგორც მკითხველებსაც მოეხსენებათ, სპარსეთის ქ. რეშტში ტფილისიდგან გაგზავნილ იქმნენ ხოლერასთან საბრძოლველად პროზექტორი ტფილისის მიხეილის საავადმყოფოსი ექიმი ი. ზ. ლორის-მელიქოვი და ამავე საავადმყოფოს უფროსი ფერშალი ა. ვ. პავლოვი, რომელნიც მხოლოდ დეკემბრის დამდეგს დაბრუნდნენ უკან. ეხლა, როგორც შევიტყეთ, სპარსეთიდგან მოსულა მათ-და დასაჯილდოვებლად ორდენები „ლომისა და მზისა". ექიმი დაჯილდოვებულია ამ ორდენის მესამე ხარისხით, ხოლო ფერშალი—მეხუთე ხარისხით.

*** შორაპნის მაზრის სოფ. ითხვისის მცხოვრებს ერთი ჯუჯა ხარი ჰყოლია; თუმცა 5 წლისაა, მაგრამ ტანით-კი ძლიერ პატარაა. სიმაღლე ერთს არშინზედ ნაკლები აქვს, სიგძე ერთი არშინი. ტანი სულ სწორე აქვს, რქები დიდრონი, შავის ფერისაა. რასაკვირველია, ასეთი ხარი გლეხ-კაცისთვის არაფრად არ არის გიმოსადეგი; ამიტომ ტფილისში ჩამოუყვანია, იქნება იყიდოს ვინმეო. მსურველთ შეუძლიანთ ეს ხარი ნახონ, პატრონთან, ნაგორნი ქუჩაზედ სახლი № 12.

*** გუშინ წინ, 20 იანვარს, ქართულ თეატრის არტისტებმა წარმოადგინეს, ქ-ნ ბ. ავალიშვილის საბენეფისოდ, ა. სუმბათაშვილის 4 მოქმედებიანი დრამა „ბორკილი" და ა. ცაგარლის კომედია-ვოდევილი „მშვენიერ ელენეს მაძიებელნი".

წარმოდგენას დიდ ძალი ხალხი დაესწრო და დიდად კმაყოფილიც დარჩა. მობენეფისეს მრავალი საჩუქარი მიართვეს.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ერთს ახალ გაზდა სომეხს უკვე გადაუთარგმნია სომხურ ენაზედ ა. ყაზბეგის მოთხრობა „ელგუჯა". ეს მოთხრობა დაიბეჭდება სომხურ ჟურნალში „მურჰ".

*** ბრიტანიის საზოგადოების კავკასიის განყოფილების ანგარიშიდგანა სჩანს, რომ 1892 წელს კავკასიის მცხოვრებთა შორის გაყიდულა 13,978 საღმთო წერილის წიგნი (დავითნი, სახარება და სხ.), სულ 5,443 მანათისა. ყველაზედ ბევრი წიგნი გაყიდულა რუსულისა, ქართულისა და სომხურ ენაზედ დაწერილი. სხვა ენებზედ: 795 სპარსული, 572—ებრაული, 401—თათრული, 174—ჩინური, 94—თათრული, 11—ავღანური, 8—არაბული და 9 წიგნი ქურთთა ენაზედ დაწერილი.

*** გაზეთი „Рус. Жизн." იუწყება, რომ არსდება ახალი საზოგადოება „აზიისა", რომელსაც საგნად ექმნება—შეისწავლოს აზია ისტორიისა, ლიტერატურისა, ენა-მეტყველობისა და ეტნოგრაფიის მხრივ.

*** „გაზეთი „Нов. Обоз." იუწყება, რომ ამა წლის მაისში დაიწყება კავკასიის მცხოვრებთა აღწერა. ამ საქმისათვის სახელმწიფო ხაზინამ საჭირო ფული უკვე გადასდოო.

*** იგივე გაზეთი სწერს, რომ რუსეთის პოეტის მ. ლერმონტოვის მოსამსახურედ ნამყოფ კაცს, ქრისტეფორე სანიკიძეს, უთქვამს, ტფილისში ყოფნის დროს მ. ლერმონტოვი 6 დღის განმავლობაში იმ სახლში იდგა, სადაც ეხლა „პარიჟის" სასტუმროაო.

*** ამ ბოლო დროს სომხებმა ხელი მოჰკიდეს ქართულ ენიდგან სხვა და სხვა თხზულებათა თარგმნას სომხურს ენაზედ. გაზეთ „Н. О."-ს სიტყვით, ამ მოკლე ხანში შეუდგებიან სომხურ ენაზედ თარგმნას შოთა რუსთაველის, „ვეფხის-ტყაოსნისას". თარგმანი ლექსად იქმნება თურმე.

*** 20 იანვარს ტფილისის ერთ ყაზარმის ეზოში თავი ჩამოირჩო ჯარის-კაცმა თედოროვმა.

*** 19 იანვარს ღამი,თ გრიბოედოვის ქუჩაზედ, პოლიციელმა იპოვნა წაქცეული ევდოკია ეპონჩიცევისა. ქალი სამკურნალოში წაიყვანეს და გზაზე გარდაიცვალა.

*** 20 ამ თთვისას გრაფის ქუჩაზე იპოვნეს სამის დღის დაბადებული მიგდებული ბავშვი და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** ტფილისის პოლიცმეისტერი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ქალაქის ღარიბ მცხოვრებთათვის შეშისა და ტანთ-საცმელის სასყიდლად მიუვიდა 16 იანვრიდგან 21 იანვრამდე: ა. პ. ნ—საგან—100 მან., „Тифл. Лист."-ის რედაქციისაგან—107 მან. 86 კაპ. ქ-ნ ალაევისაგან—10 მან., ა. ა. ლ—საგან—10 მან., დიმიტრიევისაგან—5 მან. და ტფილისის საკრედიტო საზოგადოებისაგან—15 მან., სულ 382 მან. 86 კაპ.

ამ ფულიდგან 20 იანვარს მიეცათ ქვრივებს: თეკლე პოპოვისას (სამი მცირე წლოვანი შვილი ჰყავს)—5 მან., ნინა ცათუროვისას (2 შვილი)—4 მან., სალომე ხიმშიაშვილისას (1 შვილი)—4 მან., ბარბარე გძელიშვილისას (3 შვილი)—5 მან. და სამი ქალის კაბა, ეკატერინე ბერიძისას (1 შვილი)—3 მან., თალალო სამხარაძისას (2 შვილი)—4 მან., მარიამ დადაშვილისას (7 შვილი)—7 მან., სერთუკი და პერანგი, შუშანა დადაშვილი..ას (3 შვილი)—6 მან., პელოგიგაურისას (3 შვილი)—5 მან., სამი პერანგი და ერთი წყვილი ფეხ-საცმელი, ანნა დავითაშვილისას (3 შვილი)—6 მან., და ობოლს ანნა მასელაშვილისას—3 მან. ქვრივებს: მათიკო გორდანოვისას (3 შვილი)—6 მან., მაია სტეფანოვისას—2 მან., ეკატერინე კარაპეტოვისას (4 შვილი)—6 მან., და ორი კოფთა, მაკანა ავალიშვილისას (1 შვილი)—4 მანათი და ორი კოფთა' აქსინია ოვსიანიკოვისას—3 მან., ნინა ჭიკაძისას (5 შვილი)—7 მან., სტეფანე გალეგოვს (ორი მცირე-წლოვანი შვილი ჰყავს)—5 მან.; ნატალია იორდანაშვილს (ორი შვილი ჰყავს და ავადმყოფი ქმარი)—5 მან., ზაქარია ჯავახიშვილს (ოთხი შვილი და ავადმყოფი ცოლი)—6 მან., მარიამ ხატიშვილისას (ავადმყოფია და ქმარიც ავადმყოფი ჰყავს)—4 მან., ფულად, კოფთა, შარვარი, 3 წყვილი ჩუსტი და ორი წყვილი წინდა, ეფემია შავერდოვისას (1 შვილი და ავადმყოფი ქმარი)—4 მან., ნატალია ორლოვისას 3 მან., მოხუცებულს და ავადმყოფს არუთინ ფირქულიანცს—2 მან., ავადმყოფს მათე თოიძეს—3 მან., ნინა რაზმაძეს (70 წლისა)—3 მან., სულ—115 მან.., ამას გარდა ზოგიერთ ძლიერ ღარიბ მცხოვრებთ სახლებში დაურიგდათ $1/2$ საჟენი შეშა.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ქედა** (ზედა-აჭარა) ქართული წერა-კითხვა აქედ ნელ-ნელა ფეხს იდგამს. ახლა იშვიათი არ არის ქართულ წიგნს შეხვდე რომელსამე მივარდნილს სოფელში. ამას წინად გზაშიც-კი ვნახე ერთი მაჰმადიანი ქართველი ყმაწვილი, რომელსაც ქართული წიგნი ჰქონდა და კითხულობდა. აჭარელმა ბეგმა აბდულ ბეგ ბეჟანიძემ კარგა ხანია ცალკე მასწავლებელიც-კი მოიწვია თავის შვილებისთვის და აგრედვე სოფლის ყმაწვილებისთვის ქართულის წერა-კითხვის სასწავლებლად. ამას წინად იმავე ბეგმა მასწავლებლის თხოვნით ტფილისიდამ დაიბარა ქართულის წერა-კითხვის პირველ-საკითხავი წიგნი „დედა-ენა" ბ-ნის ი. გოგებაშვილისა.

ჰასან ალა ციციშვილი

# უცხოეთი

**ინგლისი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა ასკვიტმა სთქვა, რომ ტყუილია, ვითომ გლადსტონი ავად იყოსო. ეგვიპტის საქმის შესახებ ლიბერალთა მთავრობა თავის ანდერძს არ უღალატებსო. რა ანდერძია ეს ანდერძი? ჯერ ისევ 1884 წელს ლორდმა გრენვილმა, გარეშე საქმეთა მინისტრმა გლადსტონის კაბინეტში, მისწერა ბრიტანიის წარმომადგენელს ეგვიპტეში: ეგვიპტის მინისტრებს უნდა ჩააგონოთ, რომ იმ პასუხის-გების გამო, რომელიც ბრიტანიამ იტვირთა ეგვიპტისათვის, ისინი ვალდებულნი არიან ინგლისის პოლიტიკას მისდიონ. ვინც ამას არ მოისურვებს, შეუძლიან თავი დაანებოს სამსახურსაო. მას უკან 9 წელიწადია და აგერ ეხლა მოხდა ის, რაც მუქარით სთქვა გრენვილმა. გლადსტონის ჰომრულის შესახებ ინგლისში ასე ამბობენ: ეგ ჰომრული ირლანდიის სასურველს ავტონომიას მიანიჭებს, ხოლო ამასთანავე ინგლისის პარლამენტს შეარჩენს უზენაესს უფლებასაო. მთავრობის საქმეა, ამას გარდა, რეფორმები მუშათათვის და განკარგება საარჩევანო კანონმდებლობისა.

**საფრანგეთი.** „Figaro"-ში დაბეჭდილია წერილი „Vidi"-სა (ფსევდონიმია ანდრიესიო). ამ წერილში გამოაშკარავებულია გერცისა და რეინაკის დამოკიდებულება. როგორცა სჩანს, პანამის საზოგადოება 1886 წელს შეჰპირებია გერცს 100 მილიონ ფრანკს, თუ გერცი შეაწყნარებინებდა პალატას მომგებიან ბილეთების გამოცემის საქმეს. რეინაკს ამისი ხელ-წერილიც მიუცია გერცისათვის. როდესაც მთავრობამ არ შეიწყნარა პროექტი პანამის საზოგადოების მიერ მომგებიან ბილეთების გამოცემისა, პანამის საზოგადოებამაც დაუკლო გერცს აღთქმული ფული და მისცა მხოლოდ 600,000 ფრანკი. გერცი დაკმაყოფილდა ამ ფულით, მაგრამ, როდესაც პანამის საზოგადოებამ არტონს დაავალა მინისტრებისა, დეპუტატებისა და ჟურნალისტების მოსყიდვა, გერცმა მოაგონა რეინაკს აღთქმულის ფულის გარდახდა და, მუქარა, რომ თუ ფულს არ მომცემ, გამოვააშკარავებ ყველა იმათ სახელებს, რომლებიც ჩემის შუამდგომლობით მოისყიდეთო. ამ გვარად გერცის მიერ მაგრად დაბღუჯული რეინაკი შეუდგა შინაურულ მორიგებას გერცთან. ამ მორიგებაში გაერია აგრედვე ერთი მინისტრთაგანიც და სცდილობდა როგორმე ჩაეჩუმებინათ ეს საქმე. გერცმა მიიღო კიდევ 1888 წ. თიბათვეს 1 მილიონი ფრანკი და მკათათვეშიაც 2 მილიონის ჩეკები ტიერრეს ბანკის სახელობაზედ. მერე 1889—1891 წლებში რეინაკმა თავის ჯიბიდგან მისცა გერცს 4 მილიონი ფრანკი.

მაგრამ 1888 წ. მარიამობის თთვეში საქმე იქამდის მივიდა, რომ გერცი აპირებდა ყოველის ფრის გამომჟღავნებას. მის ჩასაჩუმებლად რეინაკმა მიიღო პანამის საზოგადოებისაგან 3.300,000 ფრანკი, მაგრამ გერცს მხოლოდ 2 მილიონი ფრანკი გადასცა. გერცმა დანარჩენიც მოსთხოვა. ამ უსიამოვნობის ასაცილებლად რეინაკმა გაუგზავნა გერცს მესამე შუაკაცი რომელსაც უნდა დაერწმუნებინა გერცი, რომ დანარჩენი 1.300,000 ფრანკი რეინაკს-კი არ მიუთვისებია, არამედ დაურიგა სხვა-და-სხვა მოსყიდულ კაცთა. ამის დასამტკიცებლად კლემანსოს (ეს ყოფილა რეინაკის მიერ გაგზავნილი გერცთან) გარდაუცია დოკუმენტები და სია დაქრთამულთა. გერცი, რასაკვირველია, ეხლა უფრო თამამად და მტკიცედ თხოულობდა ფულს. 1890—1892 წლებში რეინაკი წვრილ-წვრილად იხდიდა დაპირებულს და ბოლოს მთელი მისი ქონება გადავიდა გერცის ხელში. რეინაკი ამ გვარად შეწუხებული და დევნილი გერცისაგან, სცდილობდა როგორმე განთავისუფლებულიყო მისგან და ერთხელ კიდეც მოისყიდა თურმე ერთი კაცი გერცის მოსაწამლად და დაჰპირდა 200,000 ფრანკს. ბოლოს, რეინაკს აღარავითარი ქონება აღარ დარჩა. გერცსაც ველარას აძლევდა. გერცი მაინც იმუქრებოდა. რეინაკმა ერთი ღონე კიდევ სცადა გერცის მოსარბილებლად. გაიყოლა რუვიე და კლემანსო და სთხოვა ჩამოჰხსნოდა. გერცი მაინც ვერ დაიყაბულეს და გამწარებულმა რეინაკმა თავი მოიწამლა.

— სენატორებისა და დეპუტატების მოსყიდვის საქმე თებერვლის გასულს გაირჩევა ნაფიც მსაჯულთა თანადასწრებით. რამწამს გამოძიება პროკურორს გარდაეცემა, სასამართლოს გამომძიებელი ფრანკვილი შეუდგება არტონისა და გერცის საქმის გამოძიებას.

— პარლამენტის კომისიამ დაიბარა „Caulois" გამომცემელი, მეიერი, იმის გამოსაკითხავად, თუ 1886 წ. რად აიღეს ქრთამი პანამის საზოგადოებისაგან. მთელი ჟურნალ-გაზეთობა შეშფოთებულია ამ გარემოებით. პარიჟის ჟურნალ-გაზეთობის სინდიკატმა მოახდინა საჩქარო კრება ამ საქმის გამო მოსალაპარაკებლად. არავინ არ დათანხმდა, რომ მეიერი წარსდგეს კომისიის წინაშე ჩვენების მისაცემად.

პარლამენტის კომისიას არავითარი ნება არა აქვს ჟურნალ-გაზეთობის შინაურ საქმეში გაერიოსო. მართლაც, მეიერმა წერილით აცნობა პალატის კომისიას, ვერ მოვალ; მე რომ მოვიდე, სხვებსაც მოსთხოვთ მოსვლას და ჩვენების ჩამორთმევასაო.

**გერმანია.** ამას წინად ბერლინის უნივერსიტეტში გამოჩენილმა ისტორიკოსმა ტრეიჩკემ წაიკითხა ლექცია და, სხვათა შორის, სთქვა, „რევოლიუცია ყოველთვის უფლებათა დარღვევაა და, მაშასადამე, რევოლიუციონერი არას დროს არ შეიძლება კეთილ-საიმედო კაცი იყოსო". სტუდენტების ერთი ნაწილი ძლიერ აღელვა ამ გვარმა მსჯელობამ. ზოგნი-კი ტაშის ცემით მიეგებნენ ამ სიტყვებს.

— ვიღაც Sofonicuc-ს დაუბეჭდია წიგნი და ამბობს, რომ გერმანიას დიდი შიში მოელის რუსეთისაგანაო. საჭიროა, გერმანიამ აიკლოს საფრანგეთიო. თუ საფრანგეთი არ გაანადგურა, ერთიანობა გერმანიისა მუდამ საშიშროებაში იქმნებაო. რაიცა შეეხება რუსეთს, ეს ქვეყანა ისეთს ყოფაში უნდა იყოს, რომ გერმანიას ხელი არ ახლოსო. Sofonicus-ი ამბობს კიდევ: გერმანია უნდა ემზადებოდეს ავსტრი-ვენგრიის შემწეობით რუსეთში შესასევადაო. საჭიროა რუსეთს თავს დაესხას გერმანია უფრო იმიტომაო, რომ ეგ ქვეყანა კედელსავით აგვყუდებია და ჩვენთვის გზა გადუღობნია აზიისაკენაო. რუსეთი ჩვენთვის საეკონომიო კედელია და მისი დარღვევა დიდს სიკეთეს მიანიჭებს გერმანიასაო.

**ავსტრი-ვენგრია.** ჩეხებისა, ხორვატებისა, სერბიელებისა, რუმინების და სლავიანების გავლენიან წარმომადგენელთ ამ ცოტა ხანში კრება ჰქონდათ. კრებაზედ გადასწყვიტეს, დააარსონ ყოველ დღიური გაზეთი, სახელად „კონფედერანცი" დაარქვან. ამ გაზეთს აზრად ექმნება, რომ აწინდელი ავსტრი-ვენგრიის წეს-წყობილება შესცვალოს, კანონმდებლობის წესით მიანიჭოს ყველა პატარა ერთ ავტონომია. ერთის სიტყვით, აზრად აქვს ავსტრი-ვენგრიაში დაამკვიდროს „კონფედერაცია". ამისათვის უნდათ შეადგინონ სააქციონერო საზოგადოება და შეჰკრიბონ 500,000 გულდენი, 500 აქცია ას-ას გულდენიანი, გაზეთი გერმანულად უნდა იბეჭდებოდესო.

# წვრილი ამბავი

პარიჟი ხომ ბუდეა უცნაურობასა. ამ უცნაურობის ბუდეში საპაგალითო სიძუნწეს დაუბუდნია. ერთს მივარდნილ ქუჩაზედ სცხოვრობდნენ თურმე მალდუმადურად ორნი დანი ორ პატარა ბინძურს ოთახში.

გავიდა რამდენიმე დღე და მეზობლები ველარ ჰხედავდნენ თურმე იმათ კარზედ გამოსულს, მაშინ როდესაც წინად უოველ დღე თვითონ დადიოდნენ სანოვაგის სასყიდლად. ერთი მეზობელთაგანი შეატყობინებს პოლიციას, რომ ასეა საქმე და აბა ნახეთ, რა ამბავია იმათ თავსაო. პოლიციის მოხელეს მისვლისათანავე საზარელი სურათი წარმოუდგება: ერთ ბინძურ სახლის კუთხეში გულაღმა გადაშხლართული ქალი გდია სიცივისაგან გაფიჩხებული, მეორე და-კი იქვე კარებთან პირქვე წაწოლილა. ხელში თეფში უჭირავს. ისიც უსულოა, შიმშილისა და სიცივის მსხვერპლი. მაგრამ როგორ გაჰკვირდება მოხელე, როდესაც ოთახში იპოვნის 300,000 ფრანკს. ჰფიქრობენ მეორე ოთახშიაც, თუ მეტი არა, 200,000 ფრანკი მაინც იქმნებოდაო.

— როგორც გაზეთები ამბობენ, ედისონის ლაბორატორიას ყოველ წლივ 400,000 მანეთამდე უნდება. სრული თანხა ედისონისა 6,000,000 მანეთს აღემატება...

ედისონს 400 სხვა-და-სხვა მანქანა აქვს მოგონილი.

— გერმანიის სოციალისტებს განუზრახავთ, კაპრივის სამხედრო კანონ-

პროექტის წინააღმდეგ საბრძოლველად გამართონ ხოლმე ქალთა კრებები. ამ კრებებზედ წარმოთქმულ იქნება ამ კანონ-პროექტის საწინააღმდეგო სიტყვები და გამოირკვევა ამ პროექტისა და მუშა ქალთა დამოკიდებულება.

# დეპეშა

20 იანვარი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალითაც მემკვიდრე ცესარევიჩი დანიშნულ იქმნა თავმჯდომარედ კომიტეტისა ციმბირის რკინის გზის გაყვანისა. ხელმწიფის რესკრიპტში ნათქვამია: „ჩამიბარებია თქვენთვის, დაასრულოთ ეს საქმე, რომელსაც საგნადა აქვს აღმოსავლეთში დაამყაროს მშვიდობიანობა და განათლება; ვესავთ უფალსა, მოგიმართოთ ხელი ამ საქმეში, რომელიც სხვა განზრახვებთან ერთად უნდა დაეხმაროს ციმბირის ვაჭრობა-მრეწველობის გაძლიერებას. დიდად დარწმუნებული ვარ, რომ გაამართლებთ ჩემსა და მთელის რუსეთის იმედებს“.

გამოცხადებულია საერთა-შორისო კონვენცია რკინის გზებით საქონლის გადატანის შესახებ.

„ვაჭრობის-მრეწველობის გაზეთი“ იუწყება, რომ ქირით გაცემულ სახლებზედ გარდასახადი მემოღებულ იქნება 1894 წლიდგან.

„გრაჟდანინი“-ი იუწყება, რომ გუშინ მინისტრთა საბჭოს ჰქონდა სჯა იმის შესახებ, ნება დართონ, თუ არა ფინლანდიიდგან რუსეთში სამის წლის განმავლობაში უბაჟოდ შემოიტანონ თუჯი და რკინა, სულ 1,250,000 ფუთი.

**პარიჟი.** რადგანაც ჟურნალ-გაზეთებმა ხმები გაავრცელეს, ვითომ სამსახურში მყოფთ შემნახველ კასის ფული გაფლანგესო, პალატამ დაამტკიცა კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც, ვინც შემნახველ კასებს გაჰკიცხავს, დასჯილ იქმნება 2 თთვიდგან 2 წლამდე დაპატიმრებითა და ჯარიმით. პალატამ გადასწყვიტა, ტირარისა და რიბოს სიტყვები, რომლებითაც იგინი კანონ-პროექტს იცავდნენ, გამოცხადდეს საფრანგეთის ყველა პროვინციებში.

**რომი.** შემნახველ კასებიდგან ბევრმა უკან წაიღო შეტანილი ფული, რადგანაც იმის დასამტკიცებელი საბუთები აღმოჩნდა, რომ ამ კასებიდგან ფული დაურიგდათ წევრებს იმ კომისიისა, რომელიც საემისიო ბანკის პრივილეგიების საქმეს განაგებდა.

**ათინა.** ცანტის კუნძულზედ, ამავე სახელის ქალაქში საშინელი მიწის ძვრა მოხდა. შინაგან საქმეთა მინისტრმა კუნძულზედ მცხოვრებთა მისაშველებლად გაჰგზავნა ჯარები, კარავები და სალეველი.

**ბერლინი.** იმპერატორი ვილჰელმი კიდევ ერთხელ განუმარტავს პარლამენტს სამხედრო პროექტის განხორციელების საჭიროებას; თუ შემდეგაც კანონ-პროექტი არ დამტკიცდა, რეიხსტაგი დათხოვნილ იქმნება.

**მადრიდი.** მეფე წითელათი გახდა ავად.

პეტერბურგის ბირჟა, 19 იანვარი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,81 | 7,84 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 155½ | 156½ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — ,, | — ,, | 240¼ |
| —მეორისა . . . . . | — ,, | — ,, | 226¼ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 194¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | 102¾ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | 99,87 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | 102¾ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | 99,87 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99 ,, | — ,, | — ,, |

## ივერიის ფოსტა

**ს. ბ—ეს. ი. რ. ვ—ეს.** თქვენი ლექსი სრულიად ვერ ლექსობს. არც იმ მადლის ნასახი ჰსცხია, რომელსაც პოეზიას უწოდებენ. ჩემი სამშობლო ქვეყანაო, ბრძანებთ,

სულ მუდამ მხიარულია,
ბუნებით რომ შემკულია
და თვისი შავი დღენია
ფეხებზედაც არ ჰკიდია.

არა, ამისთანა ლექსს ჩვენ ვერ დავბეჭდავთ.

**თ—ს ი. ი. წ. თვალმთხრელიშვილს.** ვერაფერ თვალმთხრელიშვილობასა სწევთ. საქმის კვალში ჩადგომასა და მოხელე-მოღვაწეს კრიჭაში დგომას შნო უნდა, უნარი, წარმატებული გონება და ქვეყნის ავ-კარგიანობის ცოდნა. უამისოდ თვალს ვერავის მოსთხრით და ტყუილად გულს გაიბოროტებთ.

## ხელ-და-ხელ საჭირო ცნობანი

— ვაჭრობა ქუთაისში. 1 მაისს ვაჭრობით გაისყიდება ბეჟან ლევანის ძის ჩაჩავას მამულები კონსტანტინე გაჩეიშვილისა და ბესარიონ ლალაბაძის ვალის გარდასახადად. ეს მამულები იმყოფება სოფ. სანავარდოს, სენაკის მაზრაში.

— ვაჭრობა ტფილისში. ტფილისის საგუბერნიო სამმართველოში 1 მაისს დანიშნულია ვაჭრობით გასყიდვა მარიამ ლუკოვსკის მიწისა, რომელიც იმყოფება ტფილისის 1 განყოფილებაში „არტილერიის ბაღკაში“. ეს მამული 166 ოთხ-კუთხი საჟენია და დაფასებული 664 მანეთად.

— ოზურგეთში. ოზურგეთის სამაზრო გამგეობა აცხადებს, რომ 9 თებერვლისათვის დანიშნულია ვაჭრობით გასყიდვა ალპესია გიგოს ძის კვირკველიას მამულისა, რომელიც იმყოფება ს. ლანჩხუთში და შეიცავს შენობას ეზოთი, სახნავ მიწას და ჯაგიანს ადგილებს. დაფასებულია 76 მანათად.

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუაღ.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.


# განცხადებანი

თ ა ვ ა დ ნ ი   ც ი ც ი შ ვ ი ლ ნ ი

მოიწვევენ თავიანთ საზოგადო განუყოფელ ზემო-საციციანო მამულების მართვა-გამგეობისათვის მცოდნე კაცთ სატყეო და სამეურნეო საქმეებისას. მსურველთ ამ საქმის გაძღოლისას შეუძლიანთ მიჰმართონ წერილითა, ანუ პირის-პირ სოფელ ქარელში თავად ციციშვილების კანტორას. (3—1)




## კახურის ღვინის ვაჭრობა
## ალექსანდრე ემელიანის ძის თუნიევისა.

ვუცხადებთ ჩვენს მუშტრებს და სხვათაც, რომ ტფილისში (მიხეილის ქუჩაზედ, № 72, მიხეილის საავადმყოფოს ახლოს) კახურის ღვინის ვაჭრობა გვაქვს გამართული 1870 წლიდგან. თუ შემოგვიკვეთავს ვინმე, კარგის ღირსებისას და პირიან ფასად ვჰზავნით ღვინოს ყველგან. საუკეთესო ღირსების ღვინოების ყიდვისათვის შემდეგი ჯილდოები გვაქვს მიღებული.

პარიჟიდგან დიდი ვერცხლის მედალი, ჟენევიდგან (შვეიცარიაშია) დიდი ოქროს მედალი და პირველი ჯილდო ლენტით, ბრიუსელიდგან (ბელგიაშია) დიდი ოქროს მედალი, მარსელის აკადემიისაგან ორდენი საპატიო ლეგიონისა ლენტით, ნიცადგან (საფრანგეთშია) დიდი ოქროს მედალი და ჯვარი ლენტით აჟასიოდგან (საფრანგეთშია) დიდი ოქროს მედალი და ჯილდო ლენტით, ბორდოდგან (საფრანგეთშია) დიდი ოქროს მედალი და ჯვარი ლენტით, პარიჟის აკადემიისაგან ღვინის ღირსების შედარების შემდეგ დიდი ოქროს მედალი, ლონდონიდგან (ინგლისშია) დიდი ოქროს მედალი და ჯილდო ლენტით, ყაზანიდგან ვერცხლის მედალი, ტფილისის მიხე ლის საავადმყოფოსაგან ვერცხლის მედალი და ნიდერლანდის სამეფოდგან დიდი ოქროს მედალი და ნიშანი ლენტითურთ.

მ ო წ მ ო ბ ა ნ ი:

კავკასიის გამოფენის საპატიო მოწმობა, დიპლომი პარიჟის აკადემიისა, მე-43 დრაგუნთა ტვერის პოლკის მოწონების ფურცელი, მოწმობა ტფილისის მიხეილის საავადმყოფოსი, მოწმობა ამავე საავადმყოფოს ექიმებისაგან, მოწმობა კავკასიის სამკურნალო მმართველობისაგან, მოწმობა რკინის გზის სამკურნალოსაგან და მოწმობავე კავკასიის საზოგადო პრიკაზისაგან.

წიგნის მოსაწერი ადრესი: ქ. ტფილისი, ალექსანდრე თუნიევს (ღვინის საწყობი მიხეილის ქუჩაზედ, № 72.).

ალექსანდრე ე. თუნიევი.

(10—165—10)

**Открыта подписка на 1893-й годъ**

на издающуюся въ гор. Ставрополѣ-Кавказскомъ общественно-литературную газету

IX г. изд. „СѢВЕРНЫЙ КАВКАЗЪ“, IX г. изд.

выходящую ДВА раза въ недѣлю и посвященную выясненію нуждъ края, названіе котораго носитъ газета.

П О Д П И С Н А Я   Ц Ѣ Н А:

| Безъ доставки и пересылки: | р. | к. | Съ доставкой и пересылкой | р. | х. |
|---|---|---|---|---|---|
| На годъ. . . . . . . . . . | 4 | 50 | На годъ. . . . . . . . . . | 5 | 50 |
| — полгода. . . . . . . . | 2 | 50 | — полгода . . . . . . . . | 3 | — |
| — 3 мѣсяца. . . . . . . . | 1 | 50 | — 3 мѣсяца . . . . . . . . | 1 | 75 |

(Суммы менѣе рубля можно высылать почтовыми марками).

═Допускается разсрочка платежа—по соглашенію съ редакціей.═

Адресъ: Ставрополь-Кавказскій, редакціи „Сѣвернаго Кавказа“.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

# „ივერია“

ამ 1893 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამმით, რა პროგრამმითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებ უნდა დაიბარონ გაზეთია შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. გა ცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკასეულს სახლებში, № 21.


Доз. ценз. Тифлисъ, 21-го Января 1893 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.